ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №86

2011 წლის 18 ივლისი

ქ. ქობულეთი

კაფე - ბარებსა და გართობის ობიექტებში მუსიკალური და გახმოვანების სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების შეზღუდვების შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეიზღუდოს მუნიციპალიტეტის საკურორტო ზოლში ღია ტიპის კაფე-ბარებში, რესტორნებში, გართობის სხვა ობიექტებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღალი მუსიკა 24 საათიდან 08 საათამდე 55 დეციბალის ზემოთ.

2. ბუნგალოს ტიპის ობიექტებში შეიზღუდოს მუსიკა მაღალი სიხშირის აპარატურის გამოყენებით 03 საათიდან 08 საათამდე 55 დეციბალის ზემოთ.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გამგებელი ა.ყურშუბაძე).

4. აღნიშნული განკარგულება ცნობად მიიღოს ქობულეთის რაიონული პოლიციის სამმართველომ (უფროსი დ. ბეჟანიძე) და ეთხოვოს დახმარება აღმოუჩინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს განკარგულების შესრულებაში.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №-71 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**